ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: გია ტაბლიაშვილი

კომისიის წევრი: ქეთევან უტიაშვილი

კომისიის წევრი: ნინო მიქიაშვილი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.01.2016

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 004/17

შეკითხვა:

2017 წლის 03 მარტიდან სავალდებულო წესით ადვოკატი - A იცავს ბრალდებულ X-ს, დანაშაული გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით. ბრალდებული თავს არ ცნობს დამნაშავედ და ითხოვს გამართლებას. აღნიშნულ საქმეზე დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილია - Z, ხოლო გარდაცვლილია Y- Z-ის მამა.

2010 წელს, დაზარალებულ - გარდაცვლილ Y-ის ინტერესებს ადვოკატი იცავდა ერთ-ერთ რაიონულ სასამართლოში და საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე. Y-ს შეეფარდა პირობითი მსჯავრი და ჯარიმა, დანაშულისთვის გათვალისწინებული სსკ-ის 258-ე მუხლის მე-2 ნაწილით (მიცვალებულისადმი უპატივცემულობა).

ბრალდებული X-ის სისხლის სამართლის საქმე არის ნაფიც მსაჯულთა ქვემდებარე, ბრალდებული მომავალში სავარაუდოდ, მიიღებს გადაწყვეტილებას საქმე წარადგინოს ნაფიც მსაჯულთა წინაშე. ადვოკატს, როგორც სავალდებულო წესით საქმეში ბრალდებულის ინტერესების დამცველს მოუწევს გარდაცვლილი დაზარალებულის Y-ის დისკრედიტაცია მისი ნასამართლეობის თაობაზე (გასამართლებული იყო მიცვალებულის უპატივცემულობისათვის.) საქმეზე, ასევე, დაიკითხება დაზარალებულის უფლებამონაცვლე Z-ი, რომელთანაც მისი მამის საქმეზე ადვოკატს ჰქონდა კომუნიკაცია - უწევდა მას კონსულტაცია

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ ბრალდებული X -ის ინტერესების დაცვა ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში ადვოკატის ეთიკის კოდექსთან, თუკი წინააღდეგობაა, კონკრეტულად ეთიკის კოდექსის რომელ პრინციპთან?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი მე-5 მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით: „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით...კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: „კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის წინააღმდეგ...“

კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატის ვალდებულებაა პროფესიული საიდუმლოების დაცვა, ინფორმაციისა, რომელიც მის ხელთ სწორედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ფარგლებში აღმოჩნდა. ადვოკატმა ყოფილი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შემდეგში მის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს და უნდა აიცილოს ინფორმაციის შესაძლო გამჟღავნების საფრთხის შექმნა.

საადვოკატო საქმიანობის პრინციპებისა და იურიდიული პროფესიის კორპორატიული ინტერესის გათვალისწინებით, ადვოკატს მოეთხოვება ქმედების იმგვარი სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის, მათ შორის ყოფილი კლიენტის ინტერესების პატივისცემას და ყოფილი კლიენტის საქმეზე ან ამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების კონფიდენციალობის დაცვა.

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატი A საადვოკატო მომსახურებას უწევდა Y-ს და მის შვილს Z-ს. ამჟამად, ადვოკატი A სხვა სისხლის სამართლის საქმეზე იცავს ერთ-ერთი კლიენტის (ბრალდებული) მხარის ინტერესებს (დანაშაული გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით) და აღნიშნულ საქმეში დაზარალებული (გარდაცვლილი) მხარე არის მისი ყოფილი კლიენტი Y, ხოლო დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილია Y-ის შვილი Z.

როგორც შეკითხვიდან ირკვევა, ადვოკატს სურს, რომ მისი ამჟამინდელი კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, გამოიყენოს მისი ყოფილი კლიენტის - გარდაცვლილი პირის -Y-ის შესახებ ინფორმაცია, რაც ეხება Y-ის ნასამართლეობას (გასამართლებული იყო მიცვალებულის უპატივცემულობისათვის). და აღნიშნული საფუძვლით, ადვოკატი აპირებს Y-ის დისკრედიტაციას, არსებული კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.

კოლეგია რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ თავისთავად, ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ წარმომადგენლობის განხორციელება არ არის აკრძალული, თუ დაცული იქნება საადვოკატო საქმიანობის პრინციპები. მოცემულ შემთხვევაში, Y-ის ნასამართლეობის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის

გამჟღავნება და მითუმეტეს, ყოფილი კლიენტის დისკრედიტაციის მიზნით, მისი გამოყენება დაუშვებელია. გასული დროის მიუხედავად და კლიენტის გარდაცვალების შემდეგაც, ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად და არ გაამჟღავნოს და არ გამოიყენოს მის საწინააღმდეგოდ პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული ინფორმაცია.

დასკვნა:

ადვოკატი დაარღვევს კონფიდენციალობის დაცვის პირნციპს, თუ მისი გარდაცვლილი კლიენტის შესახებ ინფორმაციას (მისი ნასამართლეობის შესახებ) გაამჟღავნებს და გამოიყენებს მისი დისკრედიტაციის მიზნით, არსებული კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კომისიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/